№ **629/ს** **12 / მარტი / 2021 წ.**

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონების - შპს ,,საფეხბურთო კლუბი არაგვის" პრივატიზების მიზნით პირობიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე" და ,,დ.ა." ქვეპუნქტების, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის და 119-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის N6 განკარგულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონი, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონების - შპს ,,საფეხბურთო კლუბი არაგვის" პრივატიზების მიზნით;
2. ქონების საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 48300 (ორმოცდარვა ათას სამასი) ლარით;
3. ქონების პრივატიზების მიზნით აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის ,,ბე"-ს ოდენობა განისაზღვროს 5000 (ხუთი ათასი) ლარით, ხოლო ბიჯის ოდენობა 1300 (ათას სამასი) ლარით;
4. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი N1-ის შესაბამისად;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზურაბ სეხნიაშვილი